პროდუქტის აღწერა	სასარგებლოა მათთვის ვინც	როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს	
სახელურები: ფიქსირებული სახელურები, რომელიც პირს ეხმარება წონასწორობის შენარჩუნებაში ან გადაადგილებაში.	სასარგებლოა მათთვის, ვისაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება საძინებელში, აბაზანაში, ტუალეტში ან საფეხურებით გადაადგილებისას.		
პორტატული პანდუსი: პანდუსი, რომელიც არ არის დამაგრებული ადგილზე და მისი გადატანა შესაძლებელია იქ, სადაც საჭიროა.	სასარგებლოა მათთვის, ვინც სარგებლობს ეტლით, როლატორით ან დამხმარე ჩარჩოთი და საჭიროებს რამდენიმე სართულზე ასვლას კონკრეტულ მონაკვეთზე		
შესაფერისი ფეხსაცმელი: ფეხსაცმელი, რომლის შეძენაც შესაძლებელია ადგილობრივად, კარგად მორგებადია, აქვს ტერფების დამცავი და დაცემის რისკის შემცირების ფუნქციები.	მნიშვნელოვანია დაცემის რისკის ქვეშ მყოფი პირისთვის, რომელიც იყენებს გადასაადგილებელ დამხმარე საშუალებებს, ან იმყოფება ტერფის ჭრილობის განვითარების რისკის ქვეშ.		
სამკურნალო ფეხსაცმელი: ფეხსაცმელი სპეციალური მახასიათებლებით, რომლებიც ხელს უწყობენ ტერფების დაცვას და მხარდაჭერას.	შეიძლება დასჭირდეს პირს, რომელსაც აქვს ტერფის ჭრილობის საშუალო ან მაღალი რისკი.		
გადასაყვანი დაფები: ეხმარება პირებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებაში.	სასარგებლოა მათთვის, ვისაც უჭირს უსაფრთხოდ ადგომა ან ფეხებზე წონის გადატანა.	 მოხრილი გადასაყვანი დაფა სწორი გადასაყვანი დაფა	

გადასაადგილებელი დამხმარე საშუალებები: ეხმარება პირს ადგომაში, დაჯდომასა და გადაადგილებაში.	სხვადასხვა სახის გადასაადგილებელი დამხმარე საშუალება შეესაბამება სხვადასხვა პირის საჭიროებას.	 როლატორი	 იდაყვის ყავარჯნები
ქვედა კიდურის ორთეზი: სამაგრი ან არტაშანი, რომელიც მაგრდება პირის სხეულის ნაწილზე. ორთეზის მიწოდება ხდება რეაბილიტაციის ან პროთეზისა და ორთეზის სერვისის მეშვეობით.	სხვადასხვა ტიპის ორთეზი შეესაბამება სხვადასხვა პირის საჭიროებებს.	 მუხლის სამაგრი	 კოჭ-წვივის ორთეზი
ქვედა კიდურის პროთეზი: ანაცვლებს პირის ტერფის ან ფეხის ნაკლულ ნაწილს. ქვედა კიდურის პროთეზი მუდამ მზადდება ინდივიდუალურად მოსარგებად კვალიფიციური პროთეზისტის მიერ.	სასარგებლოა მათთვის, ვისაც ამპუტაცია ჩაუტარდა ან აკლია ტერფის ან ფეხის ნაწილი. ყველას, ვისაც ტერფის ან ფეხის ნაწილი აკლია, არ შეუძლია ქვედა კიდურის პროთეზის გამოყენება.	 მუხლს ქვედა პროთეზი	 მუხლს ზედა პროთეზი
შებრუნებული მოძრავი საყრდენი ჩარჩო: ამყარებს ბავშვის უკანა მხარეს. ხშირად გამოიყენება სხვა დამხმარე პროდუქტებთან ერთად, როგორიცაა კოჭ-წვივის ორთეზი, და პირს მიეწოდება რეაბილიტაციის ფარგლებში.	სასარგებლოა ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებისთვის.		
ჩარჩო ფეხზე დგომისთვის და დამხმარე საშუალებები მწოლიარეთათვის	ხელს უწყობს ჯანმრთელობის გართულების პრევენციას ბავშვებსა და მოზრდილებში, რომლებსაც უჭირთ წოლა და უსაფრთხოდ დგომა მხარდაჭერის გარეშე.	 ჩარჩოები ფეხზე დგომისთვის	 დამხმარე საშუალებები მწოლიარეთათვის

ეტლები: უზრუნველყოფენ მობილობას ბორბლების მეშვეობით და საყრდენს ჯდომისას.	გამოიყენება იმ პირების მიერ, რომლებსაც არ შეუძლიათ, ან უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება. სხვადასხვა ტიპის ეტლები შეესაბამება სხვადასხვა პირის მოთხოვნილებებს.	

გახსოვდეთ: ყველა ამ პროდუქტისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოფის ოთხი ნაბიჯის შესრულება

ნაბიჯი ერთი - შეფასება

ნაბიჯი ორი - მორგება

ნაბიჯი სამი - გამოყენება

ნაბიჯი ოთხი - შემდგომი დაკვირვება